სსრ კავშირის თასი

15 აგვისტოს გაიმართა ფეხბურთში სსრ კავშირის 1987-1988 წლების თასის საპასუხო მერვეედფინალური მატჩები.

„დინამო“ (თბილისი) – „ზენიტი“ (ლენინგრადი) 1:0 (0:0).

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 15 აგვისტო.

„დინამო“: გაბელია, ფირცხალავა, ჩივაძე, ჭედია, ცვეიბა, კაკილაშვილი (გურული, 46), სვანაძე, სულაქველიძე, აჯოევი (რევიშვილი, 87), ჟვანია, შენგელია (კორღალიძე, 86)

„ზენიტი“: ბირიუკოვი, კუზნეცოვი, სტეპანოვი, ტიმოფეევი, აფანასიევი, ვორობიოვი (დმიტრიევი, 86), დოლგოპოლოვი, სალენკო (კანიშჩევი, 80, ივანოვი, 77), ჩუხლოვი, ბარანიკი, კლემენტიევი.

მსაჯი ვ. აბგოლცი (ალმა-ათა).

ჯერ გააფრთხილეს, მერე კი მინდვრიდან გააძევეს დმიტრიევი.

საკავშირო თასის მერვეედფინალში წილისყრამ დააწყვილა უმაღლესი ლიგის ორი გუნდი, რომლებიც წლევანდელ სეზონში აშკარა კრიზისს განიცდიან. საბჭოთა ფეხბურთის ერთ-ერთი აღიარებული ლიდერი თბილისის „დინამო“ მთელი სეზონია უმაღლეს ლიგაში ადგილი შესანარჩუნებლად იბრძვის. იგივე მდგომარეობაშია ლენინგრადის „ზენიტიც“. ეს გუნდი კი სულ ახლახან, 1984 წელს, სსრ კავშირის ჩემპიონი იყო. ძნელად ასახსნელი და გაუგებარიცაა უმაღლესი ლიგის უძველეს ბინადართა ეს ჩავარდნა. ყოველ შემთხვევაში, ლენინრადელთა ასეთი რეგრესი წლევანდელ სეზონში რთული გასაშიფრავია: „ზენიტის“ შემადგენლობაში ახლაც გამოდიან მაღალი კლასის ოსტატები ბირიუკოვი, სტეპანოვი, ვორობიოვი, დოლგოპოლოვი, ჩუხლოვი, კლემენტიევი, დმიტრიევი და სხვანი. გუნდი კი სატურნირო ცხრილის ბოლოში იმყოფება.

რახან „ზენიტმა“ თასის გათამაშებაში მერვეედფინალს მიაღწია, ცხადია, მისთვის ახლა მეტად მნიშვნელობა ენიჭებოდა სწორედ ამ შეჯიბრებას. ამიტომაც ლენინგრადელებს მთელი თავიანთი შესაძლებლობით უნდა ეთამაშათ მეოთხედფინალის საგზურის მოსაპოვებლად. მაგრამ რამდენიც არ ვუთვალთვალეთ, მაყურებლებმა მინდორზე ვერ ვიხილეთ ის „ზენიტი“, რომელიც ასე ძლიერად თამაშობდა ბოლო წლებში და ჩემპიონობასაც კი მიაღწია. იგი ახლა სრულიად სხვა სახით წარმოგვიდგა. ზენიტელთა შორის რაღაც აპათია, აშკარა შეუთანხმებლობაც იგრძნობოდა და უწინ ნაქები შეუპოვარი ბრძოლისუნარიანობის სრული დეფიციტიც. ვფიქრობთ, სწორედ ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ ასეთი თამაშით „ზენიტი“ საკავშირო ჩემპიონატში ერთ-ერთ ბოლო ადგილზე იმყოფება.

მაგრამ რა გვაჩვენეს თბილისის დინამოელებმა ამ აშკარად დაძაბუნებულ მეტოქესთან შეხვედრაში? რა შთაბეჭდილება დატოვეს მაყურებელზე, რომელიც თვიდან თვემდე, ტურიდან ტურამდე ელიან ჩვენი გუნდის თამაშის გაუმჯობესებას?

უსამართლობა იქნება არ დაინახო ის, რომ დინამოელებმა განვლილ მატჩში უწინდელზე მეტი მონდომება გამოავლინეს. ფეხბურთელები მეტს მოძრაობდნენ, უფრო თავგამოდებითაც იბრძოდნენ, მაგრამ ის თამაში, ასე რომ მოველით ყველანი, ჯერ მაინც არ ჩანს. ცალკეული რგოლები, ცალკეული ფეხბურთელები ჯერ კიდევ რიგიანად ვერ არიან ერთმანეთთან შეთამაშებულნი. ისევ შესამჩნევია ინდივიდუალური თამაშით ზედმეტი გატაცება (ჟვანია, ფირცხალავა, კაკილაშვილი და სხვანი), ზოგიერთმა დინამოელმა თვის შესაძლებლობაზე აშკარად სუსტად ჩაატარა თამაში. ყველაფერი ამის შედეგად, მხოლოდ დიდი გაჭირვებით, რის ვაივაგლახით მოვიგეთ ეს მეტად მნიშვნელოვანი მატჩი.

ჩვენი გულშემატკივარი, ბუნებრივია, ინტერესით ადევნებდა თვალს გურამ აჯოევს, რომელმაც ამ დღეს პირველად ითამაშა თბილისის „დინამოში. გ. აჯოევი თბილისელია, მაგრამ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მიზეზების გამო სხვა გუნდებში უხდებოდა თამაში. იგი მხოლოდ ახლა „შეამჩნიეს“ დინამოელთა მწვრთნელებმა და შუა სეზონში მიიწვიეს თავიანთ კოლექტივში. გ. აჯოევი უკვე ჩამოყალიბებული ფეხბურთელია. „ზენიტთან“ მატჩში მან გარკვეული დადებითი კომბინაციური და ტაქტიკური ელემენტები შეიტანა დინამოელთა თამაშში. ძნელიცაა ფეხბურთელს პირველივე მატჩში მოსთხოვო სრულად გამოავლინოს მთელი თავისი შესაძლებლობანი და უშეცდომოდ იმოქმედოს ახალ პარტნიორებთან, მაგრამ ყველაფერი ეს დროთ ვითარებაში მოვა. გ. აჯოევს ამჯერად არაფერი დაუშურებია მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანა თბილისის „დინამოს“ გამარჯვებაში.

თვით ეს მატჩი არც სანახაობრივი თვალსაზრისით, არც სპორტული ღირსებებით და კვალიფიკაციით არ გამოირჩეოდა. საერთო ტერიტორიული უპირატესობა ორივე ტაიმში თბილისელებს ჰქონდათ. სტუმრების კართან რამდენიმე სახიფათო მომენტიც შეიქმნა, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, თამაშში ქაოსი გაცილებით სჭარბობდა ნამდვილ საფეხბურთო ურთიერთგაგებას.

მატჩის ბედი ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა, რომელიც შენგელიამ გაიტანა: 70-ე წუთზე ერთ-ერთი მცველის უხეში თამაშისთვის ზენიტელთა კარში 11-მეტრიანი დაინიშნა. დინამოელებმა დარტყმა თავიანთ საუკეთესო ბომბარდირს მიანდეს. შენგელიამაც ზუსტად გაიტანა ეს ბურთი, რომელიც ესოდენ საჭირო იყო ჩვენი გუნდისთვის.

“ლელო”, 18.08.1987